2-7533/26
08-06-2026

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მიმდინარე წლის 8 ივნისს განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (№1-/5150/26, 29.05.2026).

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიურ ანგარიშში ფისკალურ სფეროსთან ერთად ვრცლადაა მიმოხილული ბიუჯეტის მაკროეკონომიკური გარემოს ძირითადი მახასიათებლები.

საანგარიშო წელს წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები.

2025 წლის მშპ-ს ფაქტიურმა რეალურმა ზრდამ შეადგინა 7.5% და 0.3 პროცენტული პუნქტით გადააჭარბა საპროგნოზო მაჩვენებელს (7.2%). მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ნომინალურ გამოსახულებაში განისაზღვრა 104,598.1 მლნ ლარით, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11,575.8 მლნ ლარით აღემატება. გაიზარდა მშპ-ს ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, რომელმაც მიაღწია 28,235.4 ლარს (10,296.5 აშშ დოლარს), 2024 წელს ეს მაჩვენებლები შეადგენდა 25,144.2 ლარს (9,241.5 აშშ დოლარს).

2025 წელს ეკონომიკურ აღმავლობაში წარმმართველი როლი კვლავ კერძო სექტორს ეჭირა. კერძოდ, 12.4%-ით გაიზარდა ბიზნეს სექტორის

ბრუნვის მოცულობა, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 13.4%-ით. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 27.3 ათასი ადამიანით გაიზარდა და მეოთხე კვარტლის მდგომარეობით 839.2 ათასი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში ინვესტიციების ოდენობამ შეადგინა 22,256.7 მლნ ლარი.

2025 წლის ბოლოს წლიური ინფლაციის დონემ 4.0% შეადგინა. ამავე პერიოდისათვის, საშუალო ინფლაცია 3.9%-ის დონეზეა.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლები. კერძოდ, 2025 წლისთვის მშპ-ს მიმართ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მოსალოდნელი მაჩვენებელი განსაზღვრული იყო 2.5%-ის დონეზე, ხოლო ფაქტიური მაჩვენებელი დაფიქსირდა 1.4%-ის დონეზე. გაუმჯობესდა ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელიც და მოსალოდნელი 2.5%-ის ნაცვლად შეადგინა 0.3%, რაც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დეფიციტის მშპ-ის მიმართ პროცენტული თანაფარდობის ზედა ზღვარზე (3%) მნიშვნელოვნად ნაკლებია.

2025 წელს მთავრობის ვალმა მშპ-ს მიმართ შეადგინა 34.4%, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრულ მთავრობის ვალის ზღვრულ მაჩვენებელზე (60%-ზე).

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ოდენობამ შეადგინა 27,802.9 მლნ ლარი, რაც წლის გეგმაზე 219.4 მლნ ლარით მეტია (გეგმა შესრულებულია 100.8%-ით), ხოლო 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აჭარბებს 2,047.6 მლნ ლარით.

შემოსულობების 79.0% არის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, რომლის გეგმა შესრულდა 100.1%-ით ანუ 17.5 მლნ ლარის გადაჭარბებით და შეადგინა 21,957.5 მლნ ლარი.

გადაჭარბებით არის შესრულებული 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა. კერძოდ, გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 25,505.0 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 25,536.4 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1% და 31.4 მლნ ლარით მეტი, ხოლო 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,246.4 მლნ ლარით გადააჭარბა. საგადასახადო შემოსავლებთან ერთად მნიშვნელოვანია ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების მაჩვენებელიც. 2025 წელს გადასახადის გადამხდელებს ზედმეტად გადახდილი გადასახადების სახით დაუბრუნდა 2,721.1 მლნ ლარი. ამასთან, ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2024 წელს 2,546.9 მლნ ლარი შეადგინა.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასახდელების სახით გაცემულია 27,723.3 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1,777.0 მლნ ლარით მეტია.

საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტით დაგეგმილი იყო ნაშთის გამოყენება (-) 369.4 მლნ ლარის ოდენობით, თუმცა მოხდა ნაშთის დაგროვება 79.6 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის 1 იანვრისთვის ხაზინის ანგარიშზე არსებულმა მთლიანმა ნაშთმა შეადგინა 1,465.7 მლნ ლარი.

საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წლიური გეგმებით გათვალისწინებული გადასახდელები შესრულებული აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპორტის სამინისტროს. ამასთან, აუთვისებელი დარჩა თანხები ზოგიერთი სამინისტროს ცალკეული პროგრამების, ასევე სხვადასხვა უწყებების მიხედვით.

საანგარიშო წელს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სახით დაიხარჯა 5,259.2 მლნ ლარზე მეტი. აქედან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემული ტრანსფერების ოდენობამ შეადგინა 1,568.3 მლნ ლარი, საიდანაც 1,1543.7 მლნ ლარი მუნიციპალიტეტებისათვის განკუთვნილი ტრანსფერებია. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში გათვალისწინებულ პროგრამებსა და პროექტებზე.

მთლიანობაში, 2025 წლის ფისკალური წელი შეიძლება შეფასდეს დადებითად. ამასთან, წარმოდგენილი ანგარიშის მიმართ კომიტეტს აქვს შემდეგი წინადადებები და რეკომენდაციები:

- 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების, მათ შორის სამინისტროებისა და უწყებების ასიგნებების წლიური გეგმების შესრულების პირობებში თანხები სრულად არ არის ათვისებული ცალკეული პროგრამის მიხედვით. ფიქსირდება სხვაობები გეგმით განსაზღვრულ და ათვისებულ თანხებს შორის, განსაკუთრებით თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით. მნიშვნელოვანია, რომ გააქტიურდეს სამინისტროების მუშაობა ცალკეული პროგრამების მიხედვით ბიუჯეტის დასაბუთებული დაგეგმვისა და წლის განმავლობაში ასიგნებების ისეთი განაწილების უზრუნველსაყოფად, რომელიც ხელს შეუწყობს მის დროულ და სრულ ათვისებას, აგრეთვე ეფექტიან ხარჯვას.

- ბიუჯეტის შესრულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, საქართველოს მთავრობამ ყურადღება მიაქციოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო

აუდიტის მოხსენებაში გამოთქმულ მნიშვნელოვან მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ განხილვასა და მის დამტკიცებას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

კომიტეტის თავმჯდომარე
პაატა კვიჟინაძე